

## განმარტებითი ბარათი

### „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზი გამომდინარეობს კერძო ვეტერინარული სამსახურების საქმიანობის სფეროს ლიბერალიზაციიდან, კერძოდ, კერძო ვეტერინარული სამსახურებს ეპიზოოტიური, ზოონოზური, ზოოანთროპონოზური სნეულებების პროფილაქტიკურ-სამკურნალო და საკარანტინო აღმკვეთი ღონისძიებების განხორციელება შეეძლება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების გარეშე.

კანონპროექტის მიღების მიზეზია ასევე ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურები, რომელიც გამომდინარეობს „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტიდან, რომლის მიხედვითაც საქართველოში წარმოებულ და იმპორტირებულ ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების (საშუალებების) სახელმწიფო რეგისტრაციას, ხელახალ რეგისტრაციას ან რეგისტრაციის გაუქმებასა და ხარისხის/უსაფრთხოების კონტროლს წამლის სააგენტოს ნაცვლად, განახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

წარმოდგენილი პროექტის მიზანია კერძო ვეტერინარული სამსახურმა სამოქალაქო ურთიერთობებში, დამოუკიდებლად განახორციელონ ეპიზოოტიური, ზოონოზური, ზოოანთროპონოზური სნეულებების პროფილაქტიკურ-სამკურნალო და საკარანტინო აღმკვეთი ღონისძიებები, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების გარეშე. ეპიზოოტიური, ზოონოზური, ზოოანთროპონოზური სნეულებების პროფილაქტიკურ-სამკურნალო და საკარანტინო აღმკვეთი ღონისძიებები, რომელიც ხორციელდება „ვეტერინარიის შესახებ“

საქართველოს კანონის მიხედვით, ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი პროგრამებით. წარმოდგენილი პროექტი, მიზნად ისახავს, სახელმწიფოს მიერ, კერძო ვეტერინარული სამსახურებისათვის ეპიზოოტიური, ზოონოზური, ზოოანთროპონოზური სნეულებების პროფილაქტიკურ-სამკურნალო და საკარანტინო აღმკვეთი ღონისძიებების გადაცემას, მათ მიერ შესაბამისი ღონისძიებების ეტაპობრივ გატარებასა და აღნიშნულის თვით დაფინანსებას. ამასთან, კერძო ვეტერინარული სამსახურები ვალდებული იქნებიან, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს, წარუდგინონ ინფორმაცია გამოყენებულ ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების დასახელების, ვარვისიანობის ვადის, კონტროლისა და სერიის მითითებით.

პროექტის მიზანია ასევე, სამსახურის მიერ საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების (საშუალებების) სახელმწიფო რეგისტრაციის, ხელახალ რეგისტრაციის ან რეგისტრაციის გაუქმებისა და ხარისხის/უხაფრთხოების კონტროლის სრულყოფილი განხორციელებისათვის შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებები „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონში, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

#### ა.კ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტით კანონის მე-19 მუხლი ევლიბდება ახალი რედაქციით, რომლის მიხედვითაც კერძო ვეტერინარულ სამსახურები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების გარეშე განახორციელებენ ეპიზოოტიური, ზოონოზური, ზოოანთროპონოზური სნეულებების პროფილაქტიკურ-სამკურნალო და საკარანტინო აღმკვეთი ღონისძიებებს. ამავე მუხლის მიხედვით კერძო ვეტერინარულ სამსახურები ვალდებული იქნებიან: აწარმოონ ვეტერინარული საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვა და ამის თაობაზე მიაწოდოს პერიოდული ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს; წარუდგინონ ინფორმაცია გამოყენებულ ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების

დასახელების, ვარგისიანობის ვადის, კონტროლისა და სერიის მითითებით აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შესაბამის სამსახურს; ცხოველების ინფექციური, მასობრივი გადაამდები ან არაგადაამდები სნეულებების განენის შემთხვევები დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს; თავისი საქმიანობის განხორციელებისას დაიცვას საერთაშორისო ვეტერინარულ-სანიტარიული კოდექსითა და ვეტერინარიის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ახალი რედაქციით ეალიბდება ასევე კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების (საშუალებების) სახელმწიფო რეგისტრაციას, ხელახალ რეგისტრაციას ან რეგისტრაციის გაუქმებასა და ხარისხის/უსაფრთხოების კონტროლს განახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური.

პროექტით ამოღება ხდება კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, რომელთა შესრულებაც ქვეყანაში განხორციელებული რეფორმების შედეგად აღარ არის საჭირო.

## **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება:

კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ აღგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა გადასახადებს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეხება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტი შესათანხმებლად დაგზავნილ იქნა სამინისტროებში.

დ.ბ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დ.გ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.